# INNO|GEORGIA

## თქვენი გამოწვევა

შეფერხდა თქვენი კომპანიის განვითარება მოძველებული ტექნოლოგიების გამო?

ეძებთ გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებს ან წარმოების ახალ ხაზებს, მაგრამ არ ხართ დარწმუნებული იქნება თუ არა მათში ინვესტირება მომგებიანი?

გაქვთ ინოვაციური იდეა, მაგრამ არ იცით, როგორ განახორციელოთ იგი ან განიცდით რესურსების ნაკლებობას?

## ჩვენ გთავაზობთ

საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი დაეხმარება თქვენს კომპანიას დაიწყოს ინოვაციური პროექტი, რათა გადაჭრათ თქვენი ბიზნეს გამოწვევები. კონკურსი INNO|GEORGIA სთავაზობს კომპანიებს განსაზღვრონ მათი ტექნოლოგიური/ ინოვაციური საჭიროებები და მათი განხორციელებისთვის მოითხოვონ ფინანსური და საკონსულტაციო დახმარება.

კონკურსის მაქსიმუმ 5 გამარჯვებული მიიღებს თანადაფინანსებას მაქსიმუმ 20 000 ლარის ფარგლებში. საექსპერტო მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის მიერ უსასყიდლოდ.

## შერჩევის პროცედურა

წარმომადგენლობითი ჟიური, რომელიც შედგება ცენტრის დამფუძნებლებისაგან და მხარდამჭერებისგან, კერძოდ კი მთავრობის, ბიზნეს ასოციაციებისა, უნივერსიტეტების და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან, აპლიკანტებისაგან წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე შეარჩევენ 5 კომპანიამდე. კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდებიან 2012 წლის 30 ნოემბრისთვის.

საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის და კონკურსის Inno|Georgia მხარდამჭერია

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი

TECHNOLOGY TRANSFER CENTER OF GEORGIA

## ვინ შეიძლება მიიღოს კონკურსში მონაწილეობა?

ჩვენ ვეძებთ ბაზარზე ორიენტირებულ საწარმოებს, რომელთაც სურთ თავიანთ სტრუქტურულ ერთეულებში წაახალისონ ინოვაცია და განვითარება. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საქართველოში და მოღვაწეობენ შემდეგ სექტორებში: სოფლის მეურნეობა და საკვების გადამუშავება, წარმოება, შეფუთვა, ლოგისტიკა, მშენებლობა, ტურიზმი. სხვა სექტორებიდან შემოსული საინტერესო პროექტები ასევე შეიძლება იყოს განხილვის საგანი.

## როგორ მივიღოთ მონაწილეობა:

გთხოვთ ჩამოტვირთეთ აპლიკაცია ჩვენი ვებ-გვერდებიდან www.gttc.ge; ან www.sakpatenti.org.ge; შეავსეთ აპლიკაცია და გამოაგზავნეთ ონლაინ info@gttc.ge ან მიიღეთ აპლიკაციის ფორმა ჩვენს ოფისში, მისამართზე: ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის 31, საქართველო. განაცხადების მიღების ბოლო დღეა 2012 წლის 11 ნოემბერი.

## საკონტაქტო ინფორმაცია:

ნინო რამიშვილის ქ. 31, 0179, თბილისი, საქართველო
ტელ.: + 995 32 91 71 82; + 995 32 25 25 32
ელ-ფოსტა: info@gttc.ge
ვებ გვერდი: www.gttc.ge

საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის და კონკურსის Inno|Georgia მხარდამჭერია

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH